

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

VII კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

1. ხაზგასმულ სიტყვას შეურჩიეთ შესაბამისი სინონიმები:
მობუცდი კაცი ფიქრებს მისცემოდა.
ა) მხნე ბ) გულუხვი გ) ხანდაზმული
2. ხაზგასმული სიტყვების ანტონიმებია:
მეზხერი ტყეების გამო წყალდიდობამ იმატა სოფლად.
ა) ხშირი ბ) ფოთლოვანი გ) ნაძვნარი
3. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კრებითი სახელი?
ა) „დათვმა ლხინი გადიხადა, მოიწვია მეგობრები.“
ბ) ჩემი ბავშვობა ბედნიერად გამახსენდება.
გ) სანადიროდ გადის მგლების მთელი ხროვა.
4. რომელ წინადადებაშია გამოყენებული წარსულ დროში მდგარი მოქმედების გამომხატველი სიტყვა?
ა) ყუთში ნელსაცხებელი იდო.
ბ) მიშველე, დიდო ღმერთო!
გ) შენ მიბრძანე და მშვენიერ ასულს აქ მოგგვრი!
5. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვაში მოიყრის თავს ორი „მ“ ?
ა) მალამო ბ) ლევანი გ) ურემი
6. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვაში მოიყრის თავს ორი „ს“ ?
ა) ლამაზი ბ) სურათი გ) თასი
7. რომელ სიტყვაში მოიყრის თავს ორი „ე“ მრავლობით რიცხვში?
ა) გლეხი ბ) მეურმე გ) რაღაცა
8. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი არსებითი სახელი?
ა) მათი მეგობრობის ისტორია ლეგენდათ იქცა.
ბ) დაგუბებული მდინარე გუბეთ გადაიქცა.
გ) აქამდე ამბად თქმული, ახლა სიმღერად იქცა.
9. წოდებით ბრუნვაში სწორად დასმული საკუთარი არსებითი სახელია:
ა) ყველაფერი რიგზეა, ცოტნევ ბატონო!
ბ) დავითს უყვარდა მეგობრებთან ბაასი.
გ) _ მზევინარ, მთაში გავისეირნოთ ცხენებით! _ შესთავაზა ზურაბმა.
10. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში:
„სილამაზის საცხის ნაცვლად ზარდახმაში სიკვდილი იყო.“
ა) მიცემითში
ბ) ნათესაობითში
გ) ვითარებითში

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

11. რამდენი პირის და რამდენი კუთვნილებითი ნაცვალსახელია ტექსტში გამოყენებული?

„ერთ მონადირეს მთებში შვლის ნუკრი დაეჭირა და მე და ჩემს ბავშვებს საჩუქრად მოგვიყვანა. ის იყო ჭრელი, ლამაზი ნუკრი. ჩემი შვილები ბედნიერები იყვნენ, რადგან ნუკრი ბავშვებთან ერთად დახტოდა ეზოში. ის ხანდახან მალულად აივანზე ავიდოდა ხოლმე და ყურს უგდებდა ტყის ხმაურს. ის იყო მისი პირველი უტკბილესი ნანა.“

- ა) 4 პირის და 3 კუთვნილებითი
- ბ) 4 პირის და 2 კუთვნილებითი
- გ) 2 პირის და 4 კუთვნილებითი

12. რამდენი ზედსართავი და რამდენი ზმნიზედაა გამოყენებული ტექსტში?

„გაბრიელ ეპისკოპოსი სვანეთიდან მობრძანდებოდა. ცხელი ზაფხული იქ გაეტარებინა, სახარება ექადაგა, ხალხი დაერიგებინა და გულდამშვიდებული ქუთაისისკენ მიემშურებოდა.“

- ა) ზედსართავი - 2 , ზმნიზედა - 3
- ბ) ზედსართავი -3 , ზმნიზედა -2
- გ) ზედსართავი-1 , ზმნიზედა - 4

13. რამდენ წინადადებაშია სწორად გამოყენებული ვითარებითი ბრუნვის ნიშანი?

1. „ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა.“
2. „ ლამაზათ შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა.“
3. „ოქროდ იქცა ყველაფერი იმ უბადრუკ ქოხში.“
4. დამურათ ქცეული თავი ყველამ გარიყა.
5. „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?!“

- ა) 2 წინადადებაში ბ) სამ წინადადებაში გ) ოთხ წინადადებაში

14. რომელია გარდამავალი ზმნა?

- ა) ჰქონდა ბ) აფენია გ) წერდა

15. რომელ წინადადებაშია სწორად გამოყენებული ზმნისწინიანი ფორმა?

- ა) ბიჭმა გოგონას ზურგი მიაქცია.
- ბ) ძალიან ბევრმა მტერმა შეიპყრო საქართველო და ააოხრა.
- გ) მოწვეულ სტუმრებს აეროპორტში დავხვდით.

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

16. რამდენი დამხმარე მეტყველების ნაწილია წინადადებაში:

„ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ მუზათა საცხოვრებელ ადგილს დღეს მუზეუმი ჰქვია.“

- ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

17. რამდენი ფორმაცვალებადი სიტყვაა წინადადებაში:

„აფროდიტეს ერთი ონავარი და მოუსვენარი ვაჟიშვილი ჰყავდა.“

- ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი

18. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა წინადადებაში:

„ბევრი ივავლახა და იტირა ფსიქემ და სიყვარულის ქალღმერთს მიმართა.“

- ა) ოთხი ბ) ხუთი გ) შვიდი

19. რომელ წინადადებაშია გამოყენებული წარმოქმნილი ზედსართავი სახელი?

- ა) „ერთ დილას ზევსი ტრიტონის ტბაზე სეირნობდა.“
- ბ) მზის სხივებმა დეკემბრის ცივ დილას სითბო აჩუქეს.
- გ) სკოლის სამეურვეო საბჭო არჩევნებისთვის ემზადება.

20. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მოქმედების სახელი?

- ა) ძველი წიგნები გადაყარა დაუფიქრებლად.
- ბ) ისევ მამულზე ვკვნესი და ვდარდობ.
- გ) ქართველთა ბრძოლამ მტერი განაცვიფრა.

21. ჩამოთვლილთაგან რამდენია მარტივი ზმნისწინი?

წა, გა, გან, ამო, წამო, მიმო

- ა) ორი
- ბ) სამი
- გ) ხუთი

22. რომელ წინადადებაშია გამოყენებული აბსტრაქტული სახელი?

- ა) „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“
- ბ) „შენ გიმღერი ჩემო თბილის-ქალაქო!“
- გ) „იხუვლა წყალმა, წამოვიდა თქრიალით და თავლაში შევარდა.“

23. რამდენი ხმოვანფუძიანი სახელია წინადადებაში:

„ერთ მშვენიერ დღეს იასონს ქალღმერთი ათენა გამოეცხადა და გემის ქიმზე მუხის ჯადოსნური ტოტი მიუმავრა.“

- ა) ორი
- ბ) ოთხი
- გ) სამი

24. რამდენი თანხმოვანფუძიანი სახელია წინადადებაში:

„ღმერთებს ეს ამბავი არ ესიამოვნათ და არც ჰერაკლე დარჩა პატრონის ახირებით კმაყოფილი.“

- ა) სამი
- ბ) ოთხი
- გ) ხუთი

25. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიზმი: „მისი გული მოინადირა“ _

- ა) დაიმორჩილა
- ბ) შეეჯავრა
- გ) მოიმადლიერა

ბონუს–სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

1. რომელია სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი?

- ა) წუთისოფელი
- ბ) ბათუმელი
- გ) მეზაღე

2. რომელია კითხვითი ნაცვალსახელი?

- ა) თქვენი
- ბ) მე
- გ) ვინ

3. რომელია სამპირიანი ზმნა?

- ა) ამშვენებს
- ბ) ულამაზებს
- გ) ისვენებს

4. რომელია ვითარების ზმნიზედა?

- ა) საუკეთესოდ
- ბ) სასტუმროსკენ
- გ) შარშან

5. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

- ა) ასოცდაორი
- ბ) მე-20
- გ) მე-18-ე